სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 12 მაისი, 2022
სხდომის დაწყების დრო: 18:30 საათი
ადგილმდებარეობა: სასტუმრო „ესკიზი“ (მისამართი: თელავი, კურდღელაურის ქუჩა 19).

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), თორნიკე ბაქრაძე, როინ მიგრიაული, გიორგი ტურაზაშვილი, ია გაბედავა, ციცინო ცხვედიანი, ინგა სეხნიაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) თათია მაისურაძის, მარიამ სარიშვილის, ქეთევან ბანცურის, ანი გულიაშვილის, ალექსანდრე დევიძის, გვანცა ჩიქოვანის, მარიკა თამამიანის, მონიკა არეშიძის, თამთა ყაზიშვილის, მირანდა ბერძენიშვილის, ედუარდ ამოევის, დავით თედორაძის და ირაკლი ბუთურიშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ

სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თათია მაისურაძის, მარიამ სარიშვილის, ქეთევან ბანცურის, ანი გულიაშვილის, ალექსანდრე დევიძის, გვანცა ჩიქოვანის, მარიკა თამამიანის, მონიკა არეშიძის, თამთა ყაზიშვილის, მირანდა ბერძენიშვილის, ედუარდ ამოევის, დავით თედორაძის და ირაკლი ბუთურიშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) ქეთევან თინიკაშვილს და მარიამ მარშანიას განცხადებებს გაწევრიანების შეახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყეს 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ქეთევან თინიკაშვილს და მარიამ მარშანიას განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ლალი მარტიაშვილის, ვანდა ჯიჯელავას და რატი გელბახიანის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლალი

მარტიაშვილის, ვანდა ჯიჯელავას და რატი გელბახიანის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ნოშრე ზაალიშვილის განცხადებას "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნოშრე ზაალიშვილის გაცხადებას წევრობის შეჩერების თაობაზე.

საკითხი 4. ადვოკატთა ასოციაციის ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს სამუშაო ჯგუფის წევრობის მსურველ კანდიდატთა საკითხის განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის ფორმირების წესი და დებულება; ასევე, ჯგუფის დაკომპლექტების მიზნით გამოცხადდა განცხადებების მიღება, რომელიც მიმდინარეობდა მ/წლის 30 აპრილამდე.

აღნიშნულ პერიოდში განცხადებები შემოიტანეს შემდეგმა წევრებმა: ალექსანდრე კობაიძე, დავით ახალური, გელა პეტრიაშვილი, გელა სიორდია, გოჩა ძინძიბაძე, ელა კუსიანი, ელზა ჯმუხაძე, ელისო რუხაძე, ლაშა მდივანი, მამუკა მახარაძე, ნათელა თავზარაშვილი, ნიკა გიგოლაშვილი, ნინო ამაღლობელი, ნინო ბუჩაშვილი, პაატა მეხრიშვილი, სალომე კალაიჯიშვილი, სულხან კომახიძე, ხათუნა ბესელია.

წევრებმა განაცხადეს, რომ მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ განცხადებების მიღების ვადის გაგრძელება, რათა შესაბამისი გამოცდილების მქონე უფრო მეტ წევრს მიეცეს ამ მიმართულებით მუშაობის შესაძლებლობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: გადაიდოს აღნიშნული საკითხის განხილვა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების მიზნით, გაგრძელდეს განცხადებების მიღება 10 ივნისის ჩათვლით. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის სამეგრელო - ზემო სვანეთის სამოქალაქო სამართლის კომიტეტში წევრობის მსურველთა განცხადებების განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის მიერ რეკომენდირებული კომიტეტში გაწევრიანების მსურველთა განცხადებები: მანანა ნარმანია და მაკა ჩარტია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის წევრებად მანანა ნარმანიას და მაკა ჩარტიას კანდიდატურები.

საკითხი 6. ადვოკატთა ასოციაციის თბილისში მოქმედი *ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის* წევრობის მსურველის - ნინო ამაღლობელის განაცხადის განხილვა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნინო ამაღლობელს ასევე შემოტანილი აქვს განცხადება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების შესახებ.

მათ განაცხადეს, რომ ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის დებულებების მე-6 მუხლის, 6.2 პუნქტის თანახმად, კომიტეტში/სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების მიზნით კანდიდატურების შერჩევისას, მხედველობაში მიიღება კომიტეტის/სამუშაო ჯგუფის მუშაობაში აქტიური ჩართულობისთვის კანდიდატის მიერ შესაბამისი სამუშაო დროის გამოყოფის შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს და განმცხადებელთან განხორციელდეს დამატებითი კომუნიკაცია, რათა დაზუსტდეს მისი რომელი განაცხადი განიხილოს აღმასრულებელმა საბჭომ - კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე თუ ნაფიცმსაჯულთა სასამართლო ჯგუფში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის თბილისში მოქმედი ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების მიზნით ნინო ამაღლობელის მიერ შემოტანილი განცხადების განხილვა გადაიდოს. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრობის მსურველთა განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების მსურველი კანდიდატების - ქეთი წიწუაშვილის და ნანული ქიმაძის განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ წარმოდგენილი კანდიდატურები რეკომენდირებული იყო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ და ასევე, კომიტეტის წევრთა რაოდენობაც არ იყო შეზღუდული.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის თბილისში მოქმედ ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრებად ქეთი წიწუაშვილის და ნანული ქიმაძის კანდიდატურები.

საკითხი 8. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ არჩილ ამაღლობელის და კახა კოკაიას განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად არჩილ ამაღლობელის და კახა კოკაიას კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 9. სხვადასხვა.

(ა) ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ასოციაციის წევრის - თენგიზ ბეჟაშვილის (სიითი #1713) და ივანე აფრიდონიძის (სიითი#4638) გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით (წარმოდგენილი იყო გარდაცვალების მოწმობის ასლები). მათ განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21^3 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად,

აღმასრულებელი საბჭო ცნობად იღებს ასოციაციის წევრის გარდაცვალების ფაქტს და შეაქვს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული თენგიზ ბეჟაშვილის (სიითი# 1713) და ივანე აფრიდონიძის (სიითი # 4638) გარდაცვალების ფაქტი და მონაცემები ამოღებულ იქნას ასოციაციის მოქმედ წევრთა ერთიანი სიიდან.

(გ) გელა შავიძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ გელა შავიძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას შეწყვეტილი ჰქონდა წევრობა 2021-2022 წლების საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო; განმცხადებელს ჰქონდა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები და ამ ეტაპზე გადიოდა ძვირადღირებულ მკურნალობას თურქეთში. დაწყებული საქმეების დასრულების მიზნით, იგი ითხოვდა საადვოკატო საქმიანობის უფლების აღდგენას და მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების გაუქმებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გელა შავიძეს ერიცხებოდა 2021 და 2022 წლების საწევრო დავალიანება. 2022 წლის 31 მარტის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის, 1-ლი პუნქტის, "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, მას შეუწყდა ასოციაციის წევრობა. გელა შავიძე არ სარგებლობდა 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი საშეღავათო საწევროთი და მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანება შეადგენდა 400 (ოთხასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის განხილვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით არ რეგულირდება, აღმასრულებელი საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ინდივიდუალურ განცხადებას განიხილავს ერთიანი სტანდარტით და მაქსიმალურად ითვალისწინებს განცხადებაში მითითებულ გარემოებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა განმცხადებლის მიმართ თანაბრად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების სტანდარტი.

შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს გელა შავიძის მოთხოვნა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე; თუმცა, საბჭო ითვალისწინებს განცხადებაში აღნიშნულ გარემოებას და განმცხადებელს სთავაზობს შესაძლებლობას, საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ წევრთა ინდივიდუალური განცხადებების მსგავსად, 2022 წლის 31 მარტს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული

გადაწყვეტილების თანახმად მათთვის საწევრო დავალიანების გადახდის 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადების შესახებ, მასაც გადაუვადდეს საწევრო დავალიანების გადახდა იგივე ვადით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს გელა შავიძის მოთხოვნა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. განმცხადებელს გადაუვადდეს მის მიმართ არსებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების გადახდა 2022 წლის 31 ოქტომბრამდე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(დ) ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის მიერ რუნარ გუსეინოვის მიმართ 2022 წლის 11 მაისს მომზადებული დასკვნის განხილვა და გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით, რუნარ გუსეინოვის მ/წლის 06 აპრილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე, სრულფასოვნად შესწავლისა და დარგის ექსპერტების მიერ დასკვნის მომზადების მიზნით, გადაეცა ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტს (შემდგომში „კომიტეტი“). კომიტეტმა განცხადების გაცნობისა და საკითხის შესწავლის შემდეგ მოამზადა დასკვნა, რომელიც წარედგინათ წევრებს სხდომაზე (დანართი 1).

წევრები გაეცნენ კომიტეტის მიერ მომზადებულ დასკვნას, რომლის თანახმად, რუნარ გუსეინოვის განცხადება გაწევრიანების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს ვინაიდან მის მიმართ უკვე არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოსა (საქმის N3/9647-19) და თბილისის სააპელაციო სასამართლოს (საქმის N3ბ/807-20) მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა რუნარ გუსეინოვის მოთხოვნა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილები “ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, აღსასრულებლად ცნობად მიიღო ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ და განსაზღვრულ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

წევრებმა განიხილეს კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დასკვნა და შეფასების შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: **რუნარ გუსეინოვის განცხადება გაწევრიანების**

თაობაზე არ დაკმაყოფილდეს; განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილებისა და გასაჩივრების წესის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე